პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მაისი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 106 (14710)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

1970 წლის 11 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სრულიად საკავშირო კომუნისტურმა საიუბილეო შაბათობამ, რომელშიც მონაწილეობდა ქვეყნის თითქმის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, კვლავ გამოხატა საბჭოთა ადამიანების ღრმა პატრიოტული გრძნობები, კომუნიზმის მაღალი იდეალებისადმი მათი ურყევი ერთგულება. შაბათობა გადაიქცა მთელი საბჭოთა ხალხის ნამდვილ დღესასწაულად და აღინიშნა დიდი შრომითი და საწარმოო მეგზურებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო, დიდად აფასებენ რა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს ინიციატივას, გულითად მადლობას უხდიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, შრომის ვეტერანებს, [illegible] ახალგაზრდობას, [illegible] მიიღეს საიუბილეო შაბათობაში, მათი მამაცური შრომისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს შაბათობაზე კომუნისტური შრომის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდეს:

სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, დაწყებითი და საშუალო სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების დამატებითს მშენებლობას;

მუშა ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების გაფართოებას ქალაქად და სოფლად, მრეწველობის მაღალი კვალიფიკაციის მუშების, სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორისტებისა და მექანიზატორების მომზადებას,

ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, შრომის ვეტერანებს, [illegible] ახალგაზრდობას, [illegible] მიიღეს საიუბილეო შაბათობაში, მათი მამაცური შრომისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს შაბათობაზე კომუნისტური შრომის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდეს:

სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, დაწყებითი და საშუალო სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების დამატებითს მშენებლობას;

მუშა ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების გაფართოებას ქალაქად და სოფლად, მრეწველობის მაღალი კვალიფიკაციის მუშების, სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორისტებისა და მექანიზატორების მომზადებას,

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება

პრაღა, 5 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს პრაღის გრადში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ჰუსაკის მეთაურობით.

პრაღა, 6 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით პრაღის გრადში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ჰუსაკის მეთაურობით.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს ორი მომიჯნავე ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები. განიხილეს აგრეთვე ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემები. მხარეებმა კვლავ დაადასტურეს სრული ერთსულოვნება ყველა განხილულ საკითხში.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებას

პრაღა, 6 მაისს, პრაღის გრადის ვლადისლავის დარბაზში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. სურათზე: ხელშეკრულების ხელმოწერის დროს. მარცხნიდან მარჯვნივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

ტელეფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. მგზრიშვილისა.

მეგობრობის მიტინგი

პრაღა, 6 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ქალაქის ათიათასობით მშრომელი.

მოედანზე ფრიალებს საბჭოთა და სამფეროვანი ჩეხოსლოვაკიური ალმები. ტრანსპარანტებზე წარწერილია: „ზარად საბჭოთა კავშირთან ერთად!“ „მივესალმებით ახალ ხელშეკრულებას!“, „საბჭოთა კავშირთან მშვიდობისა და სოციალიზმისათვის!“.

მიტინგი გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ბაბუმმა, რომელიც პრაღის შრომელთა სახელით მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმრებს.

შემდეგ შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ოცდაათათასიანი მიტინგი პრაღის გრადში დამთავრდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით. მიტინგი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურყევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

მიტინგის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის რეზიდენციაში პრაღის კრემლში მოვიდნენ პრაღის საწარმოთა მუშების წარმომადგენლები, რათა გამოთქვათ თავიანთი სიხარული ახალი ხელშეკრულების დადების გამო, მიელოცათ ქიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 25 წლისთავი. პრაღელმა მუშებმა სთხოვეს დელეგაციას გადაეცათ საბჭოთა ხალხისათვის, რომ დიდ წარმატებებს უსურვებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ბატონებო! პრაღელო შოკალიანენ!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ახლახან აქ, პრაღის გრადში, ხელი მოვაწერეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. ეს მოვლენა ღრმა კვალს დატოვებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. გაიარეს წლები და ათწლეულები, მაგრამ ჩვენი ხელშეკრულება კვლავაც ერთგულად ემსახურება საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის დიდ საქმეს.

ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო აქტის თვითეული ნება ემყარება ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით, გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოების ძირეულ ერთობას. ხელშეკრულების თვითეულ სტრიქონში ჩანს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა ურყევი ნება ერთად იმუშაონ და იბრძოლონ ჩვენი ხალხების ბედნიერებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის წინა ხელშეკრულება დაიდო ფაშიზმის წინააღმდეგ ომის დროს. მან განამტკიცა ჩვენი ხალხების საბრძოლო კავშირი. იგი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ხუვერენიტეტის აღორძინების, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტია იყო. მან საძირკველი ჩაუყარა ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერ თანამშრომლობას მშვიდობიან დროს. ამ ხელშეკრულებამ კარგი სამსახური გაუწია ჩვენს ხალხებს. მის საფუძველზე განეული უდიდესი შეშობა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიის შორის მრავალფეროვანი მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. მან ხელი შეუწყო სოციალიზმის ძალების განმტკიცებას ევროპაში, იმპერიალიზმის აგრესიული ავანტიურებისა და ვერაგული ხრიკების წინააღმდეგ ჩვენი საერთო ბრძოლის წარმატებებს.

ახალი ხელშეკრულება დაიდო მაისის სადღესასწაულო დღეებში, როცა აღენიშნავთ ჰიტლერული მონობისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს, რომელიც საბჭოთა ხალხი ეგებება ფაშისტ აგრესორებზე, დამპყრობლებსა და ხალხთა თავისუფლების ჩამხშობებზე ისტორიული გამარჯვების 25 წლისთავს. ომის წლები უკან დარჩა. ჩვენი ქვეყნები წყვეტენ სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის შენიდობიან შემოქმედებითს ამოცანებს. მაგრამ საბრძოლო ძმობის საუკეთესო ტრადიციები — მოკავშირეობა ომში ურყევი ერთგულება, ამხანაგური სოლიდარობა, მუდმივი მზადყოფნა ყოველთვის დაეხმარო მეგობარს — დღესდე ცოცხლობენ და ვითარდებიან საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობაში.

ჩვენი ახალი ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ვახტზე დგება, ადასტურებს და ამკვიდრებს ყოველივეს, რასაც თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე მივაღწიეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში. ამასთან ერთად იგი ითვალისწინებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დამყარებული ჩვენი თანამშრომლობის თანამედროვე დონეს.

ჩვენი ხელშეკრულება იმ დაუწერელი, მაგრამ რეალური ძმური კავშირის პირდაპირი მემკვიდრეა, რომელიც ყოველთვის არსებობდა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებს შორის, ჩვენი ქვეყნების შუშაოა კლასს შორის.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თქვენი ქვეყნის ბურჟუაზია ცდილობდა დახმარებოდა ანტანტის იმპერიალისტებს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებაში. მაგრამ არაოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ალასმით ჩეხი და სლოვაკი გამოჯდა რუსეთის პროლეტარიატის მხარეზე, მსოფლიოში პირველი შუშაოა და გლეხთა სახელმწიფოს მხარეზე, ჩვენთან ერთად იბრძოდა კონტრრევოლუციური ძალებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლებში, რითაც ხელი მოაწერა საბჭოების ქვეყანასთან საკუთარ პროლეტარულ „ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას“.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 1920 წლის გაზაფხულზე ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი გამოვიდა თავისი ქალაქების ქუჩებში და მოითხოვდა საბჭოთა რუსეთთან ზავის დადებას. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები გადაჭრით იოლაჭრებდნენ მმართველი ბურჟუაზიული პარტიების ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასსა და მის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას — მუდამ მიაჩნდათ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მტკიცე დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის გზად. მიუნენების ტრაგიკულ დღეებში ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები მოუწოდებდნენ ქვეყანას მტკიცედ დაურდნომოდნენ საბჭოთა კავშირს, რომელმაც მკაფიოდ ცხადყო სამოკავშირეო მოვალეობისადმი ერთგულება. ეროვნ მსოფლიო ომის მძიმე წლებში კომუნისტთა ეს კურსი გახდა მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ორიენტაცია.

კომუნისტთა სიტყვა და საქმე ერთია. ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა თქვენს ქვეყანას ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი კომუნისტების მეთაურობით, რომელმაც თავის გარშემო შეაკავშირა ხალხის მთელი პატრიოტული ძალები, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის პოლიტიკა გახდა ჩეხოსლოვაკიის ხალხმწიფოო პოლიტიკა.

საბჭოთა ადამიანები მეგობრობას მუდამ უპასუხებდნენ მტკიცე და ერთგული მეგობრობით. ნება მიბოძეთ აღვნიშნავ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ლენინის პარტია, საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი, რომლებიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების, საძმოკავშირეო მოვალეობის ერთგული არიან, ყოველ ღონეს იხმარენ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიასთან ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ამხანაგებო! დღეს ჩვენს მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას საუკუნეებად უდგეს თვითეული მხარის სრული თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, და შეიცავს სწორედ სოციალიზმის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ძმური ურთიერთდახმარების, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებს. იგი ითვალისწინებს ფართოდ გამოვიყენოთ ერთმანეთის დადებითი გამოცდილება, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, გავაფართოოთ მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა გაცვლა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში.

ხელშეკრულებაში გამოთქმულია ჩვენი ქვეყნების მტკიცე მისწრაფება ყოველი ღონე იხმარონ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების სოციალისტურ მონაპოვართა დასაცავად, ორივე ქვეყნის უშიშრობის განსამტკიცებლად. კვლავ საზი გავუსვეთ ჩვენს ერთგულებას ვარშავის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი, რომელიც აი უკვე 15 წელია იცავს სოციალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიან შრომას. დაე ჩვენი მტრები ნურასოდეს ნუ დაივიწყებენ, რომ ყოველი ცდა — დაარღვიონ სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიული ხელშეუხებლობა — წაწყდება ჩვენი გაერთიანებული ძალების მძლავრ წინააღმდეგობას! საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოლიდარობა იყო, არის და იქნება ურღვევი. ასეთია ჩვენი ხელშეკრულების სიტყვა, და ეს საფუძვლიანი სიტყვაა.

ახორციელებენ რა თავიანთ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ჩეხოსლოვაკია, ისე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები, თავიანთ ურთიერთობას სახელმწიფოებთან, რომლებსაც სხვანაირი საზოგადოებრივი წყობილება აქვთ, საფუძვლად უდებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. ჩვენი ერთგულება ამ პრინციპებისადმი ჩვენ დავადასტურეთ ახლახან ხელმოწერილ ხელშეკრულებაში. სოციალიზმის ქვეყნები ხალხთა შორის მშვიდობის საიმედო დასაყრდენი არიან, და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახალი ხელშეკრულება ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ძვირფასო ამხანაგებო! შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება საუსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს. ეჭვი არ არის, რომ იგი შეიტანს წვლილს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებაშიც. ხოლო ეს ერთიანობა ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წარმატების გარანტიაა, ახალ გამარჯვებათა გარანტიაა ჩვენს ისტორიულ ბრძოლაში სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ძვირფასო პრაღელებო!

მომაქვს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი — მშვენიერი ძველი პრაღა, ჩეხოსლოვაკიის პროლეტარების რევოლუციური მუშათა მოძრაობის დიდი ცენტრი, მახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანისათვის. პრაღა დაკავშირებულია ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ეტაპთან ჩვენი ეპოქის უდიდესი რევოლუციონერის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობაში. აქ, პრაღის ქუჩებში, 1945 წლის მაისის უკანასკნელ ბრძოლებში, ანადგურებდნენ რა ფაშისტ დამპყრობლებს, მხარდამხარ იბრძოდნენ წითელი არმიის მეომრები და პრაღის ბბრიკადების მებრძოლნი. აქ დაამთავრეს თავიანთი სახელოვანი საბრძოლო გზა ჩვენმა თანამებრძოლებმა — გენერალ სვობოდას კორპუსის ჯარისკაცებმა.

სწორედ ამიტომ ასეთი გულწრფელი სიხარულით ვფლიცავთ პრაღას, მის მუშებს, ყველა მშრომელთ საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას. ნება მიბოძეთ გისურვოთ, ძვირფასო მეგობრებო, და თქვენი სახით ვუსურვო მთელ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს ახალი წარმატებანი შრომაში, თქვენი სოციალისტური ხელმწიფოს აყვავება!

ნება მიბოძეთ ჩვენი დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა მოგახსენოთ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც გაგვიწევთ ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავთან დაკავშირებით პრაღაში ყოფნის დროს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მარადიულ, ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადიოდა. მიტინგის მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ: „მეგობრობა, მეგობრობა!“, „მარად საბჭოთა კავშირთან!“, „მშვიდობა!“. მოედანზე გრგვინავდა მძლავრი „ვაშა!“.

საბჭოთა დემოკრატიის ნიშნით

დღითიდღე ფართოვდება ჩვენს ქვეყანაში მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. 6 მაისს დაიწყო საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი. საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაიწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების — სამმოლოს ღირსეული შვილების, კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი ბლოკის წარმომადგენლების — რეგისტრაცია.

დიდი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა კავშირის საბჭოს მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო okრუგის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის საკავშირო მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ტ. თუმანოვმა.

ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და okრუქების ბევრი საწარმოსა და დაწესებულების კოლექტივებმა, თქვა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. დღეს გაზეთებიდან სიხარულით შევიტყეთ, რომ ლენინდ ილიას-ძე დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს, ბაუმანის საარჩევნო okრუქში.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ სიტყვებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ა. ნიკოლაევმა, რომელმაც საოლქო წინასაარჩევნო თათბირის სახელით აღძრა შუამდგომლობა ლ. ი. ბრეჟნევის კანდიდატურის რეგისტრაციის შესახებ და სთხოვა, რომ მხარი დაეჭირათ მისთვის.

თავიანთი კოლექტივების სახელით ამ წინადადებას მხურვალედ დუჭირეს მხარი ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ბურევესტნიკის“ მენაშაფდემ კომუნისტური შრომის დამკვრელმა მ. ი. რუმიანცევამ, საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის პროფკავშირის აღგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პ. ეფერინსკიმ, კომკავშირის ბაუმანის რაიკომის მდივანმა ა. ნ. ჩეპოტარიოვმა, ქარხანა „სტარტის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. თ. მიტიურევმა, დედაქალაქის რკინიგზის მოსკოვი — მე-3 სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანემ ა. ა. ლუჩკინმა, პარტიის სოკოლნიკის რაიონული კომიტეტის მდივანმა ვ. ი. კონოვალოვმა, ოკრუგის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა ვ. ვ. მოროზოვა, სოკოლნიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანმა ლ. ი. დედკოვამ და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. ბალიკოვმა.

ერთხმად იღებენ დადგენილებას: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს okრუქის არჩევნების ბაუმანის საარჩევნო okრუქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.**

ვიმიერთა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რუსეთის სფსრ მოსკოვის სალქალაქო საარჩევნო okრუქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა საოლქო კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ლენინური პრემიის laureატმა, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ნ. გ. ბასოვმა. მან განაცხადა, რომ okრუქის ყველა ამომრჩეველი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიათა ღია ტრიბუნას, რომელზეც შეიტყვეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი თანახმაა კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსკოვის საქალაქო საარჩევნო okრუქში.

შემდეგ გამოვიდნენ კომუნისტური შრომის დამკვრელი, მოსკოვის კუიბიშევის სახელობის ელექტროკარხნის ზეინკალი ა. ნ. შაროვი, 1-ლი სახელმწიფო საკაროსის ქარხნის ბარკომის მდივანი პ. ზ. სოროკინი, ტემირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის კითედრის გამგე პროფესორი ი. ს. კუვშინოვი, მოსკოვის ტრაკტორების ფაბრიკის „კრასნაია ზარიას“ მკერავი კ. ე. პავლოვი, „მოსკაბელის“ ქარხნის ელექტრომონტიორთა ბრიგადირი გ. ი. კარატეევი, შჩერბაკოვის სახელობის აბრეშუმის კომბინატის ბარტკომის მდივანი ა. ს. უმკო. თავიანთი კოლექტივების დავალებით მათ ითხოვეს, რომ ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ მოსკოვის საქალაქო საარჩევნო okრუქში.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა დემოკრატიის ნიშნით

(დასასრული)

ერთხმად ღებულ დადგენილებას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **მოსკოვის საქალაქო** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის სხდომაზე გაიმართა მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნ. ვ. მურაშკომ. მან განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ღია წერილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიისადმი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. ცნობილი გახდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის **ლენინგრადის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ვიტორის-ძე პოდგორნი.**

კავშირის საბჭოს არჩევნების ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე ერთხმად მიღებულია დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის **ოქტომბრის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ ჩარხსაშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი **ვიქტორ ვასილის-ძე ერმილოვი.**

საბჭოთა ჯილდოები ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებს

პრაღა, 6 მაისი. (საკდისი). პრაღის გრადში ჯილდოები გადაეცათ ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წითელი დროშის ორდენები გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ვ. ბილიაკს და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. ლუნაკს, რომლებმაც ისინი დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისთვის და ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

ლ. ი. ბრეჟნევმა საიუბილეო მედლები „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად" გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ჯგუფს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 აპრილის დადგენილებით დაჯილდოებული არიან ლუიბომირ შტროუგალი, იოზეფ კ

ისინი შრომობდნენ ფრონტისათვის

დიდ სამამულო ომში, მტერზე გამარჯვების ისტორიულ საქმეში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ახალგაზრდა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ. ისინი შრომობდნენ ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო ომის წარმოებისათვის. ფრონტის და ზურგის ერთიანობაში, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გმირულ ბრძოლაში და შრომაში იჭედებოდა მტერზე გამარჯვება. სწორედ ამაზე მოკლედ მოგვითხრობს ამ გვერდში მოთავსებული წერილი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ გმირულად შრომობდნენ საქართველოს მშრომელები სამამულო ომის წლებში.

გამარჯვება შრომითაც იჭედებოდა

იმ ქარიშხლიან დღეებში

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ წარმოადგენდა საბჭოთა ყოფიერების სიმტკიცის, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების უმაღრეს და ყოველმხრივ შემოწმებას. ოგი იყო საბჭოთა ხალხის უმძიმესი გამოცდაც და მამაცობის სკოლაც.

ვ. ი. ლენინი, რომელმაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა გენიალური მოძღვრებით სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავდა: „ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტაბიდე ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებელივ გაანაწილებენ მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან“.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და სოციალისტურმა ინტელიგენციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომის მძიმე პირობებში საომარ ყაიდაზე გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და ჩვენი ქვეყანა გადაქცეს ერთიან სამხედრო ბანაკად. განუხრელად ასორციელებდნენ რა ლენინურ ლოზუნგს — „ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ მათ თავიანთი თავდადებული შრომით შექმნეს მტკიცე და ორგანიზებული ზურგი, რომელიც ომის მთელ მანძილზე წარმატებით უზრუნველყოფდა ფრონტს იარაღით, საბრძოლო მასალებით, საჭურველით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სურსათით, ყველაფრით, რაც აუცილებელი იყო ძლიერ და ვერაგ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

დიდ სამამულო ომში ჰიტლერულ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების დიდი ისტორიული გამარჯვების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს და ცხოველმყოფელ წყაროს წარმოადგენდა ზურგში ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ნამდვილად გმირული შრომითი თავდადება, ფრონტისადმი მათი სისტემატური და ყოველმხრივი დახმარება.

1.

ფაშისტ აგრესორებზე საბჭოთა კავშირის დიად გამარჯვებაში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ მშრომელებმაც. ომის მრისხანე წლებში საქართველოს 670 ათასზე მეტი შვილი, მამაკაცი და ქალი, — ჩადგა სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგებში. სამამულო ომის ფრონტებზე და მტრის ზურგში, სხვა მოძმე რესპუბლიკების შვილების მხარდამხარ, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა ასიათასობით ქართველი მეომარი, რომლებიც გმირული ბრძოლით, სიცოცხლის დაუზოგავად აახლოებდნენ მტერზე გამარჯვებას.

საქართველოს მშრომელებმა, მუშებმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ კი, რომლებიც ზურგში დარჩნენ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწრაფად გარდაქმნეს საომარ ყაიდაზე რესპუბლიკის მთელი ცხოვრება, მოახდინეს მთელი მისი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაცია და საქართველო გადაქცევეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან არსენალად.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა საქართველოს სოციალისტური, მრავალდარგოვანი მრეწველობა ფრიად რთული და პასუხსაგები ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მისმა მთელმა რიგმა დარგებმა და საწარმოებმა 1944 წლის ზაფხულიდან მიიღეს სერიოზული სამხედრო დავალებანი. მათ სწრაფად უნდა აეთვისებინათ მრავალი სახის თავდაცვითი პროდუქციის წარმოება და ფრონტისათვის მიეცათ იარაღი, საბრძოლო მასალები, საჭურველი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ. რესპუბლიკის მრეწველობას უნდა უზრუნველეყო ქვანახშირით შავი ზღვის ფლოტი, ამიერკავკასიის რკინიგზა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობა, ხოლო საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მრეწველობისათვის მიეცა მარგანეცი და ფერომენადნობები.

ომმა საქართველოს მრეწველობა დააყენა არა მარტო ახალი და პასუხსაგები ამოცანების, არამედ სერიოზული სიძნელეების წინაშეც; რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს არ ჰქონდათ სამხედრო პროდუქციის წარმოების გამოცდილება. ომის პირველ წლებში თითქმის შეწყდა მათი გარედან მომარაგება ახალი მანქანებით, მოწყობილობით, ხელსაწყოებით და მასალებით. არმიის რიგებში გაწვევის შედეგად საწარმოებში მკვეთრად შემცირდა კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების რიცხვი.

საქართველოს მუშათა კლასმა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი გმირი მუშათა კლასის ერთ-ერთ მტკიცე რაზმს, ომის მძიმე პირობებში გამოავლინა დიდი პოლიტიკური სიმტკიცე და გამარჯვების ურყევი რწმენა. რესპუბლიკის მუშებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ომიანობის პერიოდის სიძნელეების გადალახვისათვის. მათ მოკლე ხანში მწყობრში ჩააყენეს ორასამდე ახალი და ევაკუირებული საწარმო და სპეციალური სამჭრო, მოაწყეს მრავალი სახის მოწყობილობისა და ხელსაწყოს ადგილზე წარმოება, ძველი მანქანების შეკეთება და გამოყენება, მოძმე რესპუბლიკებიდან შემოსაწიდი ნედლეულისა და მასალების შეცვლა ადგილობრივით. ფრონტზე წასული მუშების ადგილი საწარმოებში დაიკავეს ახალმა მუშებმა, უმთავრესად ქალებმა და ახალგაზრდობამ. წარმოებას დაუბრუნდა ათასობით უკვე პენსიაზე გასული ძველი კვალიფიციური მუშა. შრომითი რეზერვების სკოლებში და თვით საწარმოებში ხდებოდა ახალი მუშების სწრაფად მომზადება და საწარმოო სწავლება.

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშათა შრომითი აქტივობა სერიოზულად განაპირობა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ. რესპუბლიკის საბრეწველო საწარმოების მუშათა კოლექტივებმა 1941 წლის ზაფხულში ვრთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქ. გორკის ავტომანქანებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სურსათს. ომის პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობამ მისცა ფრონტს სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღის 200 ათასზე მეტი ერთეული და საბრძოლო მასალის 3,5 მილიონი ერთეული. 1942-1943 წლებში რესპუბლიკის მსუბუქმა და საფეიქრო მრეწველობამ საბჭოთა არმიას მისცა 6 მილიონ კომპლექტზე მეტი სამხედრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დიდი რაოდენობით სპეციალური ქსოვილი პარაშუტებისათვის, ხოლო ჯვების მრეწველობამ ათეულ ათასობით ტონა კვების პროდუქტი.

რესპუბლიკის საწარმოებმა აგრეთვე დაამზადეს და მოძმე რესპუბლიკის სამხედრო საწარმოებს დიდი რაოდენობით მიაწოდეს სხვადასხვა სახის იარაღისა და საბრძოლო მასალების ნაწილები და კვანძები. საქართველოს მრეწველობა მარგანეცსა და ფეროშენადნობებს აწოდებდა საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ მრეწველობას, ხოლო ქვანახშირით უზრუნველყოფდა შავი ზღვის ფლოტს, ამიერკავკასიის რკინიგზასა და მრეწველობას.

2.

საქართველოს მუშათა კლასთან ერთად მტერზე გამარჯვებისათვის თავდადებით შრომობდა ზურგში რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა.

ომის პირველ პერიოდში მტერმა ხელთ იგდო ჩვენი ქვეყნის ტრიტორიის საკრძნობი ნაწილი, სადაც დიდი რაოდენობით იწარმოებოდა პური, ხორცი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მტერზე გამარჯვებისათვის კი აბსოლუტურად აუცილებელი იყო სურსათით საბჭოთა არმიისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხოლო ნედლეულით მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება. საჭირო იყო ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის მაქსიმალურად გადიდება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშების წინაშე სამამულო ომის წლებში სერიოზული ამოცანა დაისვა. მათ ომამდელ დონეზე უნდა შეენარჩუნებინათ მრავალწლიანი ნარგავების: ჩაის, ციტრუსების, ვენახებისა და ხილის ბაღების ფართობი და ამასთან მაქსიმალურად გაეთდიდებინათ ხორცეულის, ცერცვოვანი, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის და შაქრის ჭარხლის ნათესები, გაეზარდათ პირუტყვის სულადობა, რათა ფრონტისა და მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ სურსათი, ხოლო რესპუბლიკის მრეწველობისათვის — ნედლეული.

ამ ამოცანის შესრულება საქართველოს კოლმეურნე გლეხობას და სოფლის მეურნეობის მშრომელებს უხდებოდათ უაღრესად ძნელ პირობებში. ომის პირველსავე პერიოდში საბჭოთა არმიას გადაეცა რესპუბლიკის ტრაქტორების, ავტომანქანებისა და ცხენების დიდი ნაწილი. საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვევის შედეგად მკვეთრად შემცირდა სოფლად შრომისუნარიანი კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა და სპეციალისტთა რიცხვი. რესპუბლიკა ვეღარ იღებდა ახალ მანქანებს, ხელოვნურ სასუქებსა და ქიმიკატებს, რაც სერიოზულ სიძნელეს უქმნიდა მის სოფლის მეურნეობას.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ და სოფლის მეურნეობის მუშებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ნამდვილად თავდადებული შრომით გადალახეს ეს სიძნელეები და უზრუნველყვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ომიანობის პერიოდის რთული და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულება.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობისათვის მობილიზებულ იქნა საკოლმეურნეო სოფლის მთელი შრომითი რეზერვები. მაქსიმალურად მობილიზებულ იქნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იხვეშტარი, ცოცხალი გამწევი ძალა, ადგილობრივი სასუქები.

კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის მეურნეობის მუშაოთა შრომითი აქტივობა ამაღლებას სერიოზულად შეუწყო ხელი სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელშიც ფართოდ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ფერმები, ბრიგადები, რგოლები, ასეულ ათასობით კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის მუშაკი.

აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნამდვილი შრომითი თავდადების მაგალითს უჩვენებდა ასეულ ათასობით კოლმეურნე. სოციალისტური შეჯიბრების პროცესში კოლმეურნე გლეხობამ თავისი რიგებიდან წამოაყენა საკოლმეურნეო წარმოების ათეულ ათასობით მოწინავე, რომლებიც მთელ თავიანთი ძალღონით შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე და პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებში. ომის წლებში თავდადებული შრომით განსაკუთრებით გაითქვეს სახელი საკოლმეურნეო წარმოების ნამდვილმა ნოვატორებმა: მესიმინდველებმა ჩოქოლი ქვაჩახიამ და ივანე თორდიამ, ტრაქტორისტებმა სოფიო უსენაშვილმა და ელენე ნატრიშვილმა, მეკარფლეებმა სოფიო მარდაშვილმა, მარო ჩადუნელმა, თამარ მეგრელიშვილმა, მეაბრეშუმეებმა ოსანა ავიაზაშვილმა, ნინო ბარაბიძემ, მეთაბაბაქოე მარო ტურიაშვილმა, გამოჩენილმა მეჩაიეებმა ქსენია სარსანიამ, თამარ ყუფუნიამ, ლუდი ხურციძემ, დარეჯან ტაკიძემ, ცაცა ქარდავამ, უშა ახუბამ, ხაჯერ და ხატიჯე კაკაბაძეებმა, აიშე გურგენიძემ, აიშე ჯიჯავაძემ და მრავალმა სხვამ. მაღალი შრომითი პატრიოტული თავდადება ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად ალაფრთოვანებდა რესპუბლიკის მშრომელებს.

წლითიწლობით იზრდებოდა რესპუბლიკის კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითი აქტივობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აქტიურად ჩაება ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებიც ომამდე სუსტად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. თვითეული კოლმეურნის საშუალო წლიური გამომუშავება გაიზარდა 132-დან 196 შრომადღემდე. მიუხედავად იმისა, რომ მოავრობის დადგენილებით კოლმეურნეობათვის საავალდებულო შრომადღეების მინიმუმი გადიდდა 80-დან 120-მდე, რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც ვერ გამოიმუშავებდნენ შრომადღეების მინიმუმს. ამიტომ მიუხედავად კოლმეურნეობებში შრომისუნარიან მამაკაცთა რიცხვის მკვეთრად შემცირებისა, განუხრელად იზრდებოდა გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა. მაგალითად, 1943 წელს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა 201.080 კაცით ნაკლები, ვიდრე ომის წინა წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამომუშავებულ იქნა 3.800 ათასი შრომადღით მეტი.

საკოლმეურნეო შრომაში განსაკუთრებით გაიზარდა კოლმეურნე ქალთა და ახალგაზრდობის როლი. 1942 წელს კოლმეურნე ქალებმა გამომუშავეს 12 მილიონი შრომადღით მეტი, ვიდრე 1941 წელს, ხოლო 1943 წელს მათ 18 მილიონით გადააჭარბეს წინა წელს გამომუშავებულ შრომადღეთა რაოდენობას. 1942 წელს საკოლმეურნეო წარმოებაში უშუალოდ მონაწილეობდა 70 ათასამდე კომკავშირელი. საქართველოს მარტო აღმოსავლეთ რაიონებში გუნინსდედად მუშაობდა 2500-ზე მეტი კომკავშირელი, ხოლო 1944 წელს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში მაღალი მოსავლისათვის იბრძოდა 2.560 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. 1943 წელს კოლმეურნეობებში მოხუცებმა და მოზარდებმა გამოიმუშავეს შრომადღეების საერთო რაოდენობის 29 პროცენტი.

ყოველივე ამის შედეგად ომის მძიმე პირობებში რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფელი წარმატებით ართმევდა თავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. იზრდებოდა მარცვლეული და სხვა სასურსათო კულტურების ნათესი ფართობი და პირუტყვის სულადობა. 1942 წელს მარცვლეული და ციცრცვოვანი კულტურების ნათესმა ფართობმა რესპუბლიკაში შეადგინა 57 ათასი ჰექტარით მეტი 1940 წელთან შედარებით, ხოლო 1943 წელს 111 ათასით გადააჭარბა ომამდელი, 1940 წლის დონეს. ამასთან რესპუბლიკის კოლმეურნეობები გეგმის გადამტკიცებით თავდაცვის ფონდში და ფაშისტური ოკუპაციისგან განთავისუფლებული რაიონების დახმარების ფონდში თესავდნენ ათასობით ჰექტარს. მაგალითად, 1943 წელს წითელი არმიის ფონდში დათესეს 6.300 ჰექტარი, ხოლო განთავისუფლებული რაიონების დახმარების ფონდში — 4.500 ჰექტარი. ხორბლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე ომის პერიოდში 1.5 ცენტნერით გაიზარდა ომამდელთან შედარებით. ყოველივე ამან განაპირობა ხორბლეულისა და სხვა სასურსათო კულტურების საერთო მოსავლის ზრდა, რის შედეგადაც 1943 წელს მიღებულ იქნა 220 ათასი ცენტნერით მეტი ხორბალი, ვიდრე 1942 წელს, ხოლო 1944 წელს 116 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. 1943 წელს რესპუბლიკაში მიღწეულ იქნა აგრეთვე პირუტყვის სულადობის გადიდება წინა წელთან შედარებით 620 ათასი სულით, მათ შორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 120 ათასი სულით, 1944 წელს კი, წინა წელთან შედარებით, პირუტყვის სულადობა 157 ათასით გაიზარდა.

ხორბლის და სხვა სასურსათო კულტურების საერთო პროდუქციისა და პირუტყვის სულადობის ზრდამ საშუალება მისცა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად წარმატებით შეესრულებინათ

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშები ტანსაცმელს კერავენ საბჭოთა მეომრებისათვის (1942 წელი).

□

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. 1942 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფო დამზადების გეგმის შესრულების შემდეგ საბჭოთა არმიის ფონდისათვის გამოიყვეს 248 ათასი ფუთი პური, ხოლო თავდაცვითი საწარმოების მუშებს სახელმწიფო ფასებში მისცეს 254 ათასი ფუთი. 1943 წელს მათ გეგმის ზევით მისცეს სახელმწიფოს ავანსად, 1944 წლის ანგარიშში 720 ათასი ფუთი პური და 30 ათასი ფუთი ხორცი. სულ კი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკამ სახელმწიფოს და ფრონტს მისცა 115 მილიონი ფუთი სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

3.

საქართველოს მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის ზურგში თავდადებულად შრომობდა რესპუბლიკის ინტელიგენცია, აღზრდილი კომუნისტური პარტიის მიერ სოციალისტური საშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების სულისკვეთებით. რესპუბლიკის ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ომის პერიოდში საბჭოური ორგანიზაციების დავალებით დაამუშავეს თავდაცვითი ხასიათის მრავალი მეცნიერული პრობლემა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტერზე გამარჯვებისათვის. საქართველოს მეცნიერები აქტიურ ხელმძღვანელ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის მუშებს სამრეწველო საწარმოებსა და ტრანსპორტის მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის, თავდაცვითი პროდუქციის წარმოების სწრაფად ათვისების, შემოზიდული ნედლეულისა და მასალების ადგილობრივით შეცვლის საქმეში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილმა რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელმა საბჭომ აკად. ა. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით ომის პერიოდში შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის ათობით სახეობა, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკის მრეწველობის უზრუნველყოფას ადგილობრივი ნედლეულით. სერიოზული მუშაობა გასწიეს საქართველოს მეცნიერებმა პროფ. გ. წოლეკაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროლიზური მარგანეცის წარმოების ახალ წესს, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შეიმუშავეს ქართველმა მეცნიერებმა პროფ. რ. აკლაძის ხელმძღვანელობით.

სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალების წარმოების ორგანიზაციაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მეცნიერმა ქიმიკოსებმა. სერიოზული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საქმეში საქართველოს მიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ნ. კეცხოველმა, ტ. გვარაძელიამ და სხვებმა.

რესპუბლიკის ფიზიოლოგები გამოჩენილი მეცნიერის აკად. ი. ბერიტაშვილის მეთაურობით, გამოჩენილი ფსიქოლოგი აკად. დ. უზნაძე, ეთამეცნიერი გ. ახვლედიანი, სამედიცინო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი აკად. გ. მუსაძე, პროფ. გ. ერისთავი და მრავალი სხვა. სისტემატურ

ბურჯაანის რაიონის მშრომელები მებრძოლებისათვის ხაჩუქრებით ტვირთავენ ფრონტზე გასაგზავნ ეშელონს (1942 წელი).

□

მშრომელები დადგნენ თავიანთ შრომით პოსტებზე. დღითიდღე ქართველი მეომრები ამარაგებდნენ თავიანთ საბრძოლო მეგობრებს, დღითიდღე ამარაგებდნენ თავიანთ მეგობრებს ზურგის მშრომელები“.

საქართველოს მშრომელები—მუშები, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ზურგში გმირული შრომით ებრძოდნენ ჰიტლერულ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ისტორიულ გამარჯვებას.

ა. ალლაძე,
დოცენტი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფოტო რ. აკოფოვის არქივიდან.

სურათებზე: ზემოთ — ჯავშნიანი ორთქმავლის შეკეთება თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში (1944 წელი). ქვემოთ — თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში აშზადებენ სამხედრო პროდუქციას ფრონტისათვის (1944 წელი).

საქართველოს ფრონტებიდან

სასურველი სტუმარი ბრიანსკიდან

ს ა ხ ლ ხ ო რ ი. (საკ. კორ.). თადარიგის პოლკოვნიკი მიხეილ ილიას-ძე თოდაძე პარტიზანული დიდების ქალაქ ბრიანსკში ცხოვრობს. მას განვლილი აქვს შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა. იგი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

მ. თოდაძე ამჟამად ბელიე ბერეგას (ბრიანსკის ოლქი) სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. იგი ბევრი კეთილშობილური საქმის წამომწყებია.

ახლახან მ. თოდაძე ესტუმრა მშობლიურ საჩხერეს, ან. წერეთლის სახელობის პირველ საშუალო სკოლას, სადაც იგი სწავლობდა.

სკოლის კოლექტივი გულთბილად შეხვდა ღვაწლმოსილ ადამიანს. მას მსურველად მიესალმა მოსწავლე თინა ფალავანდიშვილი. ძვირფასმა სტუმარმა შეხვედრის მონაწილეებს საინტერესოდ მოუთხრო დიდი სამამულო ომის ეპიზოდებზე, თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის გზაზე.

მუსიკალური სკოლა მთაში

ู ง ั ง ั ส ั ง ั ง ั. (საკ. კორ.). როცა ყაზბეგის მუსიკალური სკოლის ფან რიდან პიანინოს წარმტაცი ხმებს მოისმენთ, ძალაუნებურად იფიქრებთ მუსიკოსი უკრავსო, მაგრამ სინამდვილეში პიანინოსთან ზის პატარა ხელსური გოგონა ლია ოჩიაური, იგი მონდომებით ასრულებს დიდი კომპოზიტორების ჩაიკოვსკის, ფალიაშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს. მუსიკალური ნიჭით და შესრულების სიფაქიზით გამოირჩევიან პატარები გაიოზ ჩოფიკაშვილი, მარეხ ალიბეგაშვილი, ნინო ფიცხელაური, იანო ალიბეგაშვილი და სხვები.

სკოლას უნარიანად ხელმძღვანელობს დირექტორი თ. ბედოშვილი, ნორჩი მუსიკოსების განკარგულებაშია მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა სასწავლო ინვენტარი.

◆

7 მაისს რადიოს დღეა

დღეს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება რადიოს დღე.

ამ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივის მოწინავე მუშაკთა ერთი ჯგუფი. პირველ რიგში მარცხნიდან: ბ. ბამფლეშვილი — საქართველოს რადიოს მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქტორი, ი. ელბაქიძე — რადიომაუწყებლობის დირექტორი, ი. გამყრელიძე — ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა უფროსი რედაქტორი, მეორე რიგში — დ. ბოსლიანი — ფერადი ტელევიზიის უფროსი რედაქტორი, მ. ლომპატინი — რადიომაუწყებლობის დირექტორი, ვ. ძამაშვილი — საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემათა მთავარი რედაქტორი, მ. მოსულიშვილი — რადიოტელევიცენტრის საამქროს უფროსი, ტ. მხორი — რადიოცენტრის მთავარი ინჟინერი, ჯ. ნანიტაშვილი — მთავარი ტელეოპერატორი.

ფოტო ხ. კილაძისა.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

გამარჯვებულნი

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის დარბაზებში ერთ თვეს მუშაობდა ხალხური ოსტატებისა და თვითმოქმედი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო 200 მოყვარულის 1.000-ზე მეტი ნაწარმოები.

ამ დღეებში გამოფენა დაიხურა და გაიმართა მისი განხილვა. ექსპოზიციას მაღალი შეფასება მისცეს დამთვალიერებლებმა — მუშებმა, მოსამსახურეებმა, სამხედროებმა, კულტურის მოღვაწეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. კონკურსის ჟიურიმ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის შ. კაკნაძის მეთაურობით აარჩია საუკეთესო ექსპონატები.

ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, ოქრომჭედლობის, ხის მოჩუქურთმებისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებში საუკეთესო ნამუშევრებისათვის ნ. ფიროსმანიშვილის სახელობის სამი პირველი პრემია ჟიურიმ მიანიჭა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის ბუღალტერს ბ. ალადაშვილს, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეს შ. მარადაშვილს, თბილისელ მოსამსახურეს ვ. რუ[illegible].

მეორე პრემია აიენიჭათ თელაველ მოსამსახურეს ვ. დავითაშვილს, კასპელ პედაგოგს დ. [illegible]ს, ბოლნელ სტუდენტს დ. ჯაფარიძეს, ისტორიკოს ტ. ვართაგავას და ჟურნალისტ ა. ვართაგავას, რეტუშერ მ. ხუბაშვილს, თელაველ ენერგეტიკოს დ. მაღალაშვილს.

მესამე პრემიები მიიღეს თბილისელმა ხის მომჩუქურთმებელმა ვ. ხალლიანმა, გორელმა კერამიკოსმა ი. ბაბულაშვილმა, ექიმმა ვ. ვარაზმა, პოეტმა მ. ფოცხიშვილმა, პიანისტმა ძ. გოგოლაძემ, პროფესორმა შ. გეგიაშვილმა, დასახელოსნო ე. ზარაფიშვილმა, ისტორიკოსმა ნ. [illegible]ვილიშვილმა, ხელოვნ. [illegible] ლ. ლომ. ნტმა და სხვებმა, სულ 18 [illegible] ... ლიჩებისა და ფალასების ავტორები სოფელ ალვანიდან.

გამოფენის მთელი რიგი მონაწილენი დაჯილდოვდნენ სიგელებით.

საგამოფენო კომისიამ შეარჩია 600 საუკეთესო ნაწარმოები, რომლებსაც მოსკოვში გაგზავნან, სადაც აგვისტოში გაიხსნება საბჭოთა კავშირის გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

სსრ კავშირის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი 5 მაისს მოსკოვიდან ბუდაპეშტში გაეგზავნა, სადაც მონაწილეობას მიიღებს დევიის თასის გათამაშების პირველი წრის მატჩში. საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქე იქნება უნგრეთის ძლიერი გუნდი. ეს შეჯიბრება გაიმართება ბუდაპეშტში 8, 9 და 10 მაისს.

სსრ კავშირის ნაკრებს სათავეში უდგას ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ა. მეტრეველი. მასთან ერთად ერთვეულთა ასპარეზობაში თ. ლეიუსის ნაცვლად გამოვა მოსკოველი ვ. კოროტკოვი, ხოლო წყვილთა ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ა. მეტრეველი და ხ. ლისიჩოვი.

მალე დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება ჩოგბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის. შეჯიბრება მოეწყობა იმავე სისტემით, როგორც დევისის თასის გათამაშება. ჩოგბურთელები სტარტს მომავალ შაბათსა და კვირას აიღებენ.

მსოფლიო ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი იუგოსლავიაში გაემგზავრა, სადაც გაიმართება მსოფლიოს პირველობის გათამაშება.

ეს შეჯიბრება სტარტს აიღებს 10 მაისს. სპეციალისტების აზრით, საბჭოთა კალათბურთელები ფინალის უდავო კანდიდატები არიან.

სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობენ ვ. ანდრეევი, ს. კოვალენკო, ა. ჟარმუხამედოვი, ა. ბელოვი, ი. ლიჭსონ, ს. ბელოვი, ვ. ზასტუხოვი, ზ. საკანდელიძე, ა. კრიკუნი, მ. პაულაუსკასი, ა. სიდიაკინი, პ. ტომსონი.

ფინალური ასპარეზობა 16 მაისს დაიწყება.

Ა. ᲠᲐᲛᲡᲔᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა ერთი ჯგუფი უკვე ეწვია მექსიკას და აქ ემზადებიან დიდი სტარტისთვის. მათ შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონები — ინგლისელი ფეხბურთელები, ბრაზილიელები.

ინგლისის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ ჟურნალისტებთან საუბარში ევროპის გუნდებიდან გამოყო — იტალიის, სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან — ურუგვაის, ბრაზილიის, პერუსა და მექსიკის ნაკრებები.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲐᲓᲔᲡᲗᲐᲜ

5 მაისს მოსკოვში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ბუდაპეშტის ნიმ-ის გუნდები, წარმატება საბჭოთა ფრენბურთელებს ხვდათ ანგარიშით 3:2 (15:8, 13:15, 12:15, 15:11, 15:12). ამ გუნდების მეორე ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართება ბუდაპეშტში. მეორე საბჭოთა გუნდი მოსკოვის „დინამო“ უკვე ფინალში გავიდა.

აშხაბადში სტუმრად იმყოფებიან ირანის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. პირველ მატჩში სტუმრებმა დამარცხება განიცადეს ადგილობრივ სტუდენტთა გუნდებთან თანაბარი ანგარიშით 0:3, ხოლო მეორე მატჩი ირანის ქალთა გუნდმა წააგო 2:3.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲗ ᲐᲦᲠᲔ

ზაგრებში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-15 ტურში ბრაუნსა და ფიშერის გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ფიშერმა 12 ქულა შეაგროვა და ერთი ტურით ადრე პირველი ადგილი გაიანდა. ფიშერისა და კორჩნოის გადადებული პარტია არ გათამაშებულა. სმისლოვსა და ჰორტს 10,5-10,5 ქულა აქვთ, პეტროსიანსა და გლიგორიჩს — 10-10 ქულა, კორჩნოის — 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝ�პᲝᲚᲨᲘ

გუშინ სიმფეროპოლში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდები. ეს იყო მეორე ტურის გამოტოვებული მატჩი ნეიტრალურ მოედანზე. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც მეტოქის კარში ვ. კოზლოვმა გაიტანა. გაიმარჯვეს მოსკოვის დინამოელებმა.

ᲨᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

გუშინ სოფიაში გაიმართა მეორე მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, ფრე — 0:0.

გუშინდელ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრებში ითამაშეს — რუდაკოვმა, ლოგოფეტმა, ძოძუაშვილმა, შესტერნიოვმა, ხურცილავამ, კაპლიჩნიმ, ზიკოვმა, კისელიოვმა, აფონინმა, სერებრიანიკოვმა, მეტრეველმა, პუზაჩმა, პარკუიანმა, ხმელნიცკიმ.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲣᲠᲒᲐᲠᲘᲨᲘ „ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ“

9 მაისს ავსტრიაში იწყება ევროპის ბრივე